

SWEARING FORMULAS CONTAINING NON-NORMATIVE VOCABULARY IN THE LIFE OF THE POPULATION OF AJARA

არანორმატიული ლექსიკის შემცველი გინების ფორმულები
აქარის მოსახლეობის ყოფაში

TAMAZ PUTKARADZE

Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
Department of history, archeology and etnology
32/35 Ninoshvili str. Batumi, Georgia
ORCID: 0000-0003-0866-2474
Tamaz.futkaradze@bsu.edu.ge
577179723

Abstract

Swearing belongs to the field of oral language and is the use of obscene, insulting, vulgar, aggressive or emotionally charged words towards someone. It can have various forms and goals - from emotional release to social manipulation. Its genesis is somewhat related to existential issues and carries a cultural-historical content. In Georgian vocabulary, synonyms for swearing include cursing, abusing, unforgivably mentioning, slandering, insulting, blessing, scolding and etc. (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=17&t=1140>).

Swearing has existed since ancient times and is reflected in the culture of many peoples. Naturally, it was not stranger to Georgian reality either. Swearing formulas are widespread in southwestern Georgia, especially in Ajara.

Ajara is a very interesting historical-ethnographic region of Georgia, where both the general ethnic nature and local peculiarities of existence are clearly visible. This specificity is manifested in the use of obscene, offensive words addressed to someone, and in the forms of attitude towards a person and an event. It is noteworthy that no one has studied this issue to date, which to some extent determines the relevance of the research. There is almost no data on this issue in the scientific literature (if we do not take folklore into account).

Field data confirms that people have preserved to this day the formulas for expressing emotional release and social manipulation, which have become widely used in modern life and have become one of the necessary attributes of people's self-determination.

Key words: swearing; anger; cursing; life; non-normative vocabulary; culture.

თამაზ ფუტკარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი
საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ.32/35

ORCID: 0000-0003-0866-2474

Tamaz.futkaradze@bsu.edu.ge

577179723

აბსტრაქტი. გინება განეკუთვნება ზეპირსიტყვიერების დარგს და წარმოადგენს ვინმეს მისამართით უცენზურო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, აგრესიული ან ემოციურად დატვირთული სიტყვების გამოყენებას. მას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა და მიზანი - დაწყებული ემოციური განტვირთვით და დამთავრებული სოციალური მანიპულაციით. მისი გენეზისი რამდენადმე დაკავშირებულია ყოფით საკითხებთან და ატარებს კულტურულ-ისტორიულ შინაარსს. ქართულ ლექსიკაში გინების სინონიმებად მიიჩნევენ ლანძღვას, შეგინებას, უპატიოდ ხსენებას, თათხვას, ყბადაღებას, ავადხსენებას, ძაგებას, ძვირის თქმას, შეკურთხებას, გაკიცხვას და ა. შ. (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=17&t=1140>).

გინება უძველესი დროიდან არსებობს და იგი ვლინდება მრავალი ხალხის კულტურაში. ბუნებრივია, იგი უცხო არ ყოფილა ქართული სინამდვილისათვისაც. გინების ფორმულები ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ აჭარაში.

აჭარა მეტად საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონია საქართველოსი, სადაც ნათლად ჩანს ყოფის როგორც ზოგადეთნიკური ბუნება, ისე ლოკალური თავისებურებანი. ეს სპეციფიკა ვლინდება ვინმეს მისამართით უცენზურო, შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებაში, პიროვნებისა და მოვლენის მიმართ დამოკიდებულების ფორმებში. ნიშანდობლივია, რომ ეს საკითხი დღემდე არავის შეუსწავლია, რაც რამდენადმე განსაზღვრავს კვლევის აქტუალობას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული საკითხის შესახებ მონაცემები თითქმის არ გვხდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფოლკლორს).

საველე მონაცემებით დასტურდება, რომ ხალხმა დღემდე შემოინახა ემოციური განტვირთვის, სოციალური მანიპულაციის გამომხატველი ფორმულები, რომლებმაც ფართოდ დაიკავეს ადგილი თანამედროვე ყოფაში და იქცნენ ადამიანთა თვითდამკვიდრების ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტად.

საკვანძო სიტყვები: გინება; გაბრაზება; ლანძღვა; ყოფა; არანორმატიული ლექსიკა; კულტურა.

შესავალი

ადამიანისა თუ მოვლენის მიმართ ემოციური დამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმაა **გინება**. იგი არის სიტყვიერი ფორმულა, რომელიც შეიცავს არასასურველი პიროვნების მიმართ ზიანის მიყენების სურვილს. **გინება//ლანძღვა// შეგინება//უპატიოდ ხსენება//თათხვა//ყბადაღება//ავადხსენება//ძაგება//ძვირის თქმა//შეკურთხება//გაკიცხვა** - როგორც ზეპირსიტყვიერების დარგი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართულ ფოლკლორში და გამოიყენება არასასურველი პიროვნების შეურაცხყოფის, ზიანის მიყენების დამცირების, შეჩვენების მიზნით. წყევლის მსგავსად, გინებაშიც გამოხატულია

ყოფითი, საყოფაცხოვრებო პრობლემებისადმი ხალხის, საზოგადოების დამოკიდებულება.

მეთოდები

კვლევაში გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი, საველე კვლევა-ძიების, უშუალო დაკვირვების და კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდები.

შედეგები

ჩვენს მიერ მოძიებული საველე მასალების შესწავლის და ანალიზის შედეგად სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე შექმნილი კულტურულ-ისტორიული შინაარსის არანორმატიული ლექსიკის ნიმუშები, გამოიკვეთა მისი წარმოშობის მიზეზები, შინაარსი, მიზანი, გამოყენების ფორმები და პირობები, ტაბუირებული სიტყვების აზრობრივი და შინაარსობრივი დატვირთვა. კვლევის შედეგების შესახებ საუბრისას აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს საკითხი დღემდე არ გამხდარა კვლევის საგანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზეპირსიტყვიერებას.

მსჯელობა

ადამიანისა თუ მოვლენის მიმართ ემოციური დამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმაა **გინება//ლანძღვა//შეგინება//უპატიოდ ხსენება//თათხვა//ყბადაღებას//ავადხსენება//მაგება//ძვირის თქმა//შეკურთხება//გაკიცხვა**. იგი წარმოადგენს სიტყვიერ ფორმულებს, რომლებიც შეიცავენ არასასურველი პიროვნების მიმართ ზიანის მიყენების, დამცირების, შეურაცხყოფის სურვილს. გინება განეკუთვნება ზეპირსიტყვიერების ჟანრს და გამოიყენება მოწინააღმდეგის, მტრის, ბოროტი ადამიანის დასამცირებლად. მასში ისევე როგორც წყევლაში, ნათლად ჩანს ხალხის დამოკიდებულება სოციალური, ეროვნული, საყოფაცხოვრებო პრობლემებისადმი. სულხან-საბას მიხედვით გინება „**არს ბილწად კსენება, გინა შეურაცხება, გინა წაბილწვა. გინება არს ავად კსენება**“ (სულხან-საბა, 1966:157). ასეთივე განმარტებაა მოცემული „უნივერსალურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“: გინება არის „**ლანძღვა, უდიერი მოხსენიება**“ (უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2006). ამ სიტყვის მნიშვნელობა არც დღეს შეცვლილა, თუმცა თანამედროვე ადამიანი უფრო მეტად აგრესიული და თავშეუკავებელი გახდა. შესაბამისად, გინებამ და ბილწსიტყვაობამ, რომელსაც უპირატესად საყოფაცხოვრებო ხასიათი აქვს, არნახული მასშტაბები შეიძინა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში გინება-ბილწსიტყვაობის მდიდარი ლექსიკა ბოროტადაა გამოყენებული. ამ "მარ-გალიტების" შეგროვების მცდელობა ერთხანს ჰქონია თედო სახოკიას. მის ნაკვალევს მოგვიანებით ვახუშტი კოტეტიშვილიც გაჰყვა და გამოსცასკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშები სახელად "მოუკრეფავნი". მიუხედავად ამისა, ფოლკლორისტები გინებას ჟანრობრივ სტატუსს მაინც ვერ ანიჭებენ, რადგანაც მათი თქმით, ის ვერანაირ კლასიფიკაციას ვერ აკმაყოფილებს.

ფორმის მიხედვით გინება არის **ვერბალური** (სიტყვიერი ლანძღვა, პირდაპირი აგრესია) და **არავერბალური** (ქესტებით, მიმიკით ან სხეულის ენით გამოხატული აგრესია). გვხვდება აგრეთვე **წერილობითი** ფორმით გამოხატული არანორმატიული ლექსიკის ნიმუშებიც (გინება ტექსტურ შეტყობინებებში, სოციალურ ქსელებში და ა.შ.).

არანორმატიული ლექსიკა მეტად განსხვავებულია სხვადასხვა კულტურებში. ზოგან ის მეტად ტაბუირებულია, ზოგან კი ყოველდღიურ მეტყველებაში გამოიყენება. გინება ხშირად გამოიყენება ემოციის განსამუხტავად, სტრესის მოსახსნელად, ზოგჯერ კი საკუთარი ძალაუფლების და ავტორიტეტის დემონსტრირებისათვის.

დღემდე კამათს იწვევს გინების **წარმომავლობა-გენეზისის** საკითხი. ზოგიერთი ავტორი მას **მონღოლებს** მიაწერს. ეს შეხედულება არ შეესაბამება სინამდვილეს.

მომთაბარე მონღოლების შემოსევამ რა თქმა უნდა მოახდინა გავლენა დაპყრობილ ხალხებზე, მათ კულტურაზე, ყოფასა და მეტყველებაზე, მაგრამ აღნიშნული სოციალური ინსტიტუტი მონღოლებამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. იტალიელი მოგზაურის **პლანო კარპინის** ინფორმაციით მე-13 საუკუნეში მონღოლებმა არ იცოდნენ გინება, რუსეთში კი მონღოლებამდეც იგინებოდნენ. განსხვავება იყო ის, რომ მონღოლები რასაც ამბობდნენ, იმას აკეთებდნენ, სხვა ხალხებში კი, მათ შორის რუსებსა და ქართველებში გინებამ ვირტუალური ხასიათი შეიძინა.

ვფიქრობთ, რომ გინება ისეთივე ძველია, როგორც წყევლა-კრულვა და შესაძლოა ისიც **წარმართული (ანნიმისტური) რწმენა-წარმოდგენებიდან იღებდეს სათავეს**. შესაბამისად, მას უნდა ჰქონდეს **მაგიური და რელიგიური ფესვები** - ძველ საზოგადოებებში სიტყვებს ხშირად მიაწერდნენ ზებუნებრივ ძალას, რის გამოც წყევლა და გინება განიხილებოდა როგორც ეფექტური ზემოქმედების საშუალება.

ვინმეს ან რაიმეს მიმართ ბოროტი სურვილის და ლანძღვა-გინების მაგალითები გვხვდება „**ბიბლიაშიც**“. იგი აისახა აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურაში, სამართლის ძეგლებსა და სხვა დოკუმენტებში.

გინების წარმოშობა რამდენადმე **გაბრაზებასთან, გაოცებასთან ან სტრესთან** შეიძლება იყოს დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში ადამიანი თავისი ემოციური მდგომარეობის გამოსავლენად იყენებს უხეშ, შეურაცხმყოფელ, დამამცირებელ არანორმატიულ ლექსიკას. გინება ხშირად უკავშირდება ისეთ საკითხებსა და თემებს, რომლებიც საზოგადოებაში ტაბუირებულად ითვლება. სწორედ ტაბუირებულ სიტყვებთანაა დაკავშირებული ძლიერი ემოციები: **გაბრაზება**, აგრესიის ან უკმაყოფილების გამოხატვა; **შიში და რიდი** - რელიგიური, სასიკვდილო ან ზებუნებრივი ტაბუ; **შოკი** - მოულოდნელობა და საზოგადოებრივი ნორმების დარღვევა; **იუმორი** - კომიკური ასპექტის შექმნა - განსაკუთრებით მაშინ, როცა ტაბუ ირონიულად ირღვევა.

გინება - სოციალურ იარაღსაც წარმოადგენს შესაბამის გარემოში სხვების შეურაცხყოფის, სტატუსის დამცირების, ძალაუფლების დემონსტრირების თვალსაზრისით.

გინების ინსტიტუტი საკმაოდ ძველია, მაგრამ ბოლო პერიოდში მისი გამოყენება გაცდა ყოველგვარ ზღვარს. თანამედროვე პერიოდში აგრესიული რიტორიკის და არანორმატიული ლექსიკის ფართო გამოყენება შესაძლოა არასწორად გაგებული სიტყვის თავისუფლებითაც იყოს განაპირობებული. საბჭოთა პერიოდში ეს საკითხი ტაბუირებული იყო. იკრძალებოდა მის შესახებ საუბარიც კი. სიტყვის თავისუფლების არასწორად გაგებამ, ემანსიპაციამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო თავაშვებულობას. აღნიშნულ საკითხზე ხანგრძლივი, გრძელვადიანი აკრძალვები პოსტსაბჭოთა ეპოქის დასაწყისიდანვე მოიხსნა და არანორმატიული ლექსიკის გამოყენება ყოველდღიური ყოფის ნაწილად აქცია. შესაბამისად, პრობლემად იქცა რეზისტენცია (კონკრეტული ჯგუფების ჩაგვრისათვის და მათზე დომინირებისათვის ძალაუფლების გამოყენების შეწინააღმდეგების გზა) აღნიშნული პრობლემატიკის მიმართ.

ხალხური გადმოცემით გინების წარმოშობა ნაწილობრივ ოჯახის სიწმინდის, პატიოსნების შელახვასთანაა დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთ-ერთი რესპოდენტის მონათხრობი, რომლის შინაარსი ასეთია: ერთ-ერთმა მეფემ საცოლედ დაინიშნა მეზობელი ქვეყნის მეფის ასული, მაგრამ ქორწილი არ შემდგარა. ვაჟმა დანიშნული მიატოვა. განაწყენებულმა ქალმა შურისძიების მიზნით დაიწყო სამარხების ძარცვა. მეფემ ვერ მიაგნო დამნაშავეს კვალს. ამიტომ გადაწყვიტა თავად დამარხულიყო ცოცხლად და ენახა საფლავების მძარცველი. ასეც მოხდა. მეფემ დამნაშავე დაიჭირა და საკუთარ მამას წარუდგინა დასასჯელად. განრისხებულმა მამამ შვილს უხეშად შეაგინა. რესპოდენტის თქმით გინებაც აქედან იღებს სათავესო (თ. ფუტკარაძე, 2005 წლის ივლისი). ცხადია, აღნიშნულ თქმულებას არავითარი კავშირი არ

აქვს გინების წარმოშობის საკითხთან, თუმცა მნიშვნელოვანია იგი ამ სოციალური ინსტიტუტის შესწავლის თვალსაზრისით.

გინების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული პირველივე ლიტერატურულ ძეგლში „შუშანიკის წამება“. ნაწარმოების მიხედვით, მას შემდეგ, რაც შუშანიკმა ჯოჯიკის ცოლს შეახსენა: „ოდეს ყოფილ არს აქამოდდე, მამათა და დედათა ერთად ეჭამოთ პურიო“ და ღვინით სავსე ჭიქა სახეში შეასხა, განრისხებულმა ვარსკენმა აგინა დედა-წული შუშანიკს და წიხლებით სცემა. ავტორის სიტყვებით ვარსკენი აგინებდა „თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მათხრებლად სახელ სდებდა მას“ (იაკობ ხუცესი. გვ. 4,5).

სიტყვიერი შეურაცხყოფის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა მშობლის გინება. იგი აისახა სამართლის ძეგლებშიც. მშობლის მაგინებელს გარკვეული სასჯელიც დაედებოდა ხოლმე (ფურცელაძე, 1964: 62-63, 67, 84-85, 99-100, 117). შეიძლება მას დაეკარგა მემკვიდრეობის უფლებაც. სასჯელების დაწესება პირის სოციალური სტატუსის მიხედვით ხდებოდა. წარჩინებულთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის, გინებისათვის შესაძლოა გამოეყენებინათა პატიმრობა, ჯარიმა, საჯელოს მოკლება, ხოლო გლეხთა და ჯარისკაცთა მიმართ - სხეულებრივი სასჯელი.

ტრადიციულ-ყოფითი კულტურა, თავისი სტრუქტურით პატრიარქალურია. იგი მიდრეკილია ქალის როლის პროფანაციისკენ. სწორედ ამ მოტივს ვხედავთ უცენზურო ფორმულებში. გინება თითქმის ყოველთვის ასოცირდება ქალზე ძალადობის უხეში ფორმების გამოხატვასთან. როგორც ჩანს, ჩვენი წინაპრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რეპროდუქციულ ფუნქციას. სიტყვებს, რომლებიც აღწერდნენ რეპროდუქციულ ორგანოებს, ანიჭებდნენ მაგიურ მნიშვნელობას. ალბათ ამანაც განსაზღვრა გინების ფართოდ გავრცელება მრავალი ხალხის ყოფაში.

სექსუალური ხასიათის გინება ყველაზე ფართოდაა გავრცელებული. იგი ამავე დროს ძლიერი ემოციური და სოციალური ზეგავლენის მქონე სიტყვების კატეგორიაა და არსებობს თითქმის ყველა კულტურაში. მისი ფორმები, გამოყენება და დატვირთვა შეიძლება განსხვავებული იყოს.

სექსუალური ხასიათის ლანძღვის ფესვები ძველ საზოგადოებაში უნდა ვეძიოთ, სადაც სქესობრივი აქტი, რეპროდუქცია და ინტიმური ურთიერთობები ერთდროულად წარმოადგენდა როგორც ტაბუირებულს, ისე ძალაუფლების ინსტრუმენტად ქცეულ სფეროს. სქესობრივი აქტი პირდაპირ იყო კავშირში ოჯახთან, რეპროდუქციასთან და შთამომავლობის გაგრძელებასთან, რის გამოც სექსუალური ტერმინოლოგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა.

პატრიარქალური კულტურებში ქალის სექსუალობა ხშირად კონტროლდებოდა საზოგადოებისა და რელიგიური ინსტიტუტების მიერ, რის გამოც სექსუალური ხასიათის გინება მიმართული იყო ქალების შეურაცხყოფისაკენ. ქალის სექსუალობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ღირსებასთან.

სექსუალური ხასიათის გინება ინგლისურენოვან კულტურებში შესაძლოა მსუბუქ შეურაცხყოფად ჩაითვალოს, თუმცა იქაც არის ტაბუირებული ტერმინები. კავკასიაში ასეთი გინება უკავშირდება არა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებას, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც, რაც მეტოქის მაქსიმალურ დამცირებად აღიქმება და განაპირობებს მოწინააღმდეგის მძაფრ აგრესიას.

ენათმეცნიერების აზრით ლანძღვა-გინებითი სიტყვების ფესვები ბევრ ინდოევროპულ ენაშია, მაგრამ მათ მხოლოდ საქართველოში მიაღწიეს არნახულ მასშტაბებს. დღეისათვის გინების თემა ძალიან ნაყოფიერი და პოპულარული თემაა საქართველოს მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილში, თუმცა ყველა თანხმდება იმაში, რომ გინება არის არაინტელექტუალობის, უგემოვნობის და უკულტურობის გამოვლინება. ამიტომაცაა, რომ ხალხურ ყოფაში არსებობს წყევლის და გინების საწინააღმდეგო რიტუალის ტრადიციებიც (Chauran, Alexandra, 2013).

დღესდღეისობით გინება ფართოდაა გავრცელებული მრავალი ხალხის ცხოვრებაში. იგი ქართული ყოფის შემადგენელ ნაწილადაც იქცა. გინება ყოველდღიური ყოფის თანამდევნი მოვლენაა და უხვად შეიცავს ხალხის ტრადიციულ ყოფის ელემენტებს.

ხულოს რაიონის ზოგიერთ სოფელში (თხილვანა) გინებას „დაკოკოშინებას“, ხოლო მგინებელს კი „გინებელას“ ეძახიან (თ. ფუტკარაძე, 2005).

გინების ფორმით ადამიანებთან დამოკიდებულება გამოიხატება დედის, ჯიშის, ცოცხლის, მკვდრის თუ ოჯახის წევრების მიმართ გამოთქმული შეურაცხმყოფელი სიტყვებით.

ყველაზე დიდ უარყოფით ემოციას იწვევს გინება, რომლის სხვადასხვა ფორმულებს შორის განსაკუთრებულია დედის მიმართ გამოხატული უარყოფითი ემოცია. ჩვენში (და არა მარტო ჩვენში) დედის მიმართ ფართოდ გავრცელებული გინების ეგრეთ წოდებული მთავარი ფორმულა („შენი დედა“) დედამიწის არქაულ კულტს უნდა უკავშირებდებოდეს.

დედის მიმართ გინების არაერთი ფორმა ჩავიწერეთ სავსე ექსპედიციების დროს (შენი დედა..., შენი დედის..., შენი დედა-ცოლი და ა. შ. (ფუტკარაძე, 2005).

ირიბი ფორმით დედის შეგინებას გამოხატავს აჭარაში ყველაზე ფართოდ გავრცელებული გინების ფორმულა „ჩემო შექნილო“ (ჩემო გაკეთებულო). ზოგან (ხიხაძირში) უკუღმართი პიროვნების მისამართით გამოიყენება ფორმულა – „ზამდან შექნილო“ (თავიდან შესაქმნელო), ასევე, „ჩემო ნაგაზო“ და ა. შ. თვალთმაქცი, უპირო ადამიანის მისამართით სხალთისწყლის ხეობაში გაიგონებთ: „შენი სიკო-რიკო“. ღორჯომის თემის სოფლებში განსაკუთრებული აგრესია ახლავს გამოთქმას: „შვილა-გოჭა“ და გამოიყენება „ღორიშვილის“ მნიშვნელობით (თ. ფუტკარაძე, სავსე ექსპედიციის დღიური, 2005 წლის ივლის-აგვისტო). უკუღმართი ადამიანის მისამართით არც თუ იშვიათად გამოიყენება ფორმულა: „უბისმილოდ შექნილო“ (ლოცვის გარეშე გკეთებულო). ნიშანდობლივია, რომ გინების მსგავსი ფორმულები არ ფიქსირდება საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონებში.

დედის შეურაცხყოფისათვის არაერთ უსიამოვნებას ჰქონია ადგილი, მათ შორის მკვლელობასაც. ეს დაკავშირებულია დედის კულტთან. დედა სიწმინდის, სინაზის, სისპეტაკის სიმბოლოა, წმინდა არსებაა და მის შეურაცხყოფას არავის აპატიებდნენ.

ეს ფაქტორი შესაძლოა აღნიშნული სოციალური ინსტიტუტის ფორმირების ერთ-ერთი მთავარი მოტივიც ყოფილიყო. აღნიშნული მოტივით უარყოფითი დამოკიდებულების გამოსახატავად მოწინააღმდეგე ცდილობდა შეეგინებინა, შეურაცხყოფა მიეყენებინა ყოველივე იმისათვის, რაც დაპირისპირებული მხარის საფიქრარს, სიწმინდეს შეადგენდა. ქართველებისათვის (და არა მარტო ქართველებისათვის) ასეთი სიწმინდე იყო დედა. ამიტომაცაა გასათვალისწინებელი ზემოთ აღნიშნული მოტივი ამ სოციალური ინსტიტუტის გენეზისის საკითხების კვლევისას.

საქართველოში ბილწსიტყვაობისა და გინებისას ყველაზე მეტად გავრცელებულია ნაცვალსახელები: „შენი“ და „მაგის“, თუმცა ბოლო დროს მათ ყველაზე ცუდი ვარიანტი – „ჩემი“ შეემატა. ქართველების ნაწილი, ე.წ. „ძველბიჭები“ საკუთარ დედას ისე აგინებენ, თვალსაც არ ახამხამებენ, მაშინ როცა, სხვის მიერ დედის შეგინებას თითქოსდა უდიდეს შეურაცხყოფად მიიჩნევენ და ამის გამო არც კონფლიქტებს ერიდებიან. ასეთი კატეგორიის ადამიანებმა საკუთარ დედაზე გინება ე.წ. „ძველბიჭობის“, „ქალაქელობის“ სიმბოლოდ აქციეს. მსგავს უხამს გამონათქვამებს არც ზოგიერთი თანამდებობის პირი თუ უმაღლესი სკოლის პედაგოგი ერიდება. არც თუ ისე იშვიათია მსგავსი ფორმულების წარმოთქმა გოგონებს შორისაც. საკუთარ მშობლებზე გინებისა და ბილწსიტყვაობის ფორმულები გვხვდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის აჭარის

ზღვისპირა ბარში. ეს ფორმულებია: „ჩემი დედა“, „ბოზიშვილი ვიყო“, „მამაჩემის ბოზი ვიყო“ და ა. შ.

საველე მასალების შეგროვებისას ხიხანის წყლის ხეობაში დავაფიქსირეთ გინების მეგრული ფორმა – **“დედამხოღური”**. ძნელია იმის თქმა, საიდან გაბატონდა და რამ განაპირობა მეგრული გინების შედგენა მთიან აჭარაში, შესაძლოა, იგი უკავშირდებოდეს მეგრული წარმომავლობის გენიალოგიური ჯგუფების არსებობას, რომელთა ცხოვრების კვალი წაშლილია, თუმცა იმერეთიდან, სვანეთიდან, იშხანიდან და ა.შ. გადმოსახლებული გენიალოგიური ჯგუფების აქ ცხოვრების შესახებ მრავლადაა ცნობები ხალხურ გადმოცემებსა და წერილობით წყაროებში.

ზოგიერთ სოფელში ცნობილი არიან პროფესიონალი მაგინებლები. ხიხადირში ასეთია **პაწა გულაი** (გულა გაბაიძე). შუახევში **ისაკა** (ისაკ ქამადაძე) და ა.შ.

ოსმალთა ბატონობამ ყოფის ამ ელემენტზეც მოახდინა გავლენა, რაც გამოიხატა გინების შესაბამისი ფორმულების გავრცელებაში. მთიანი აჭარის, განსაკუთრებით ხულოს მუნიციპალიტეტის არაერთ სოფელში ამა თუ იმ ოჯახის, საგვარეულოს თუ ცოლის საგვარეულოს, ჯიშის 7-დან 70 წლამდე ასაკის ადამიანების მისამართით გამოთქმულ გინების ფორმას დაუმკვიდრდა თურქული შესატყვისი: **“იედიდან იეთმიშა”**. ერთ-ერთი რესპოდენტის მონათხრობის მიხედვით ამ გინების საფუძველი ცოლის მიერ ქმრის გაბრაზება ყოფილა. გაბრაზებულ ქმარს ცოლისათვის საგვარეულოს 7-დან 70 - წლამდე ასაკის ორივე სქესის ადამიანების მისამართით უხამსი ფორმით შეუგინებია: **“იედიდიდან იეთმიშა”** (დიდიდან პატარამდეო) (თ. ფუტკატრაძე, 2005 წლის ივლის-აგვისტო).

თურქული შესატყვისი დაუმკვიდრდა აგრეთვე ძირის//ფესვის//ჯიშის//ჯიბილეთის მიმართ გამოხატულ უხამს გინებას: **“ზასსარუნ კალა”**. **ჯიშის//ნესლის** შეგინებას შეიძლება მოჰყოლოდა დაპირისპირება საგვარეულოებს შორის, რაც შესაძლოა სისხლისღვრით დამთავრებულიყო. ჯიში (ჯიბილეთი, ნესლი) სისხლით ნათესაობას ეფუძნება და მასზე შეგინება ნიშნავს სისხლის სიწმინდის შეურაცხყოფას. იგი ძალზე მტკივნეულად აღიქმებოდა. ამიტომაც ამ ფორმით უარყოფითი ემოციის გამოხატვას ერიდებოდნენ კიდევ.

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სკვანაში ჩაწერილი ერთი აღმოსავლური ზღაპარი დედაზე გინების გენეზისს მიაწერს სოფლელი ქოსას ფარისეველობა-ეშმაკობას. ზღაპრის შინაარსი ასეთია: ქალაქელ ქოსას ესტუმრა სოფლელი მატყუარა ქოსა. სოფელელმა ქოსამ ქალაქელს სანადლეო დაუდო, ეშმაკობით მოუგო, ფულიც გამოართვა და ცოლ-შვილიც გაუუპატიურა.

ახლა ქალაქელი ქოსა ესტუმრა სოფელელს - შურისძიების მიზნით. იგი პატივით მიიღეს, მაგრამ მოულოდნელად მასპინძელ ქოსასა და მის ცოლს შორის მოხდა შელაპარაკება. სოფლელი ქოსას ცოლი - ქმართან წინასწარი საიდუმლო შეთანხმებით - გაჯიუტდა და ქმრის დავალება არ შეასრულა. ქმარი “დაემუქრა” - დაგკლავო და ყელში გამოუსვა წინასწარ დაკლული ცხვრის სისხლი. ნანახმა სტუმარი განაცვიფრა, მაგრამ მასპინძელმა დაამშვიდა - ნუ დარდობ, გავაცოცხლებო. აიღო სალამური, “ცხედარს” “პიპილო-პიპილო” სიმღერით სამჯერ შემოუარა და ქალიც “გაცოცხლდა.” გაკვირვებულ სტუმარს სოფლის ქოსამ “აუხსნა”: “ქალი როცა ინათიანია (ჯიუტი,) მაშინ ვკლავ და მერე ვაცოცხლებ, ერთი დაკვლა ყოფნის 10 წელიწადს, შემდეგ ხელახლა ვკლავო”.

სტუმარმა თხოვა: “მაჩუქე სალამური, ჩემი ცოლიც ჯიუტია და შენი მეთოდი მეც მიწადა რომ გამოვიყენო”. ქალაქელი ქოსა სალამურით დაბრუნდა სახლში და გაჯიუტებულ (ინათიან) ცოლს დანა გამოუსვა ყელში, შემდეგ კი სალამურით და “პიპილი-პიპილოს” სიმღერით მთელი ხუთი დღე უვლიდა გარს მეუღლის ცხედარს, მაგრამ იგი აღარ გაცოცხლებულა. ქოსა მიხვდა, რომ კვლავ გააბრიყვეს და გამწარებულმა შეიკურთხა: - „სახლი გამიბინძურა, ფარა (ფული) ამართვა, ქალი და ბაღვი (გოგო) გამიფუჭა

(გამიუპატიურა), ახლა ქალიც მომაკვლევიანო” და შერისძიების გრძნობით აღვსილმა შეიგინა. – “**ვაი ბუნუნ ანასსინიო...**” (მთიან აჭარაში დედას ანას ეძახიან) (თ. ფუტყარაძე, საველე ექსპედიციის დღიური, 2005 წლის ივლის-აგვისტო) . „**ანასსინის**“ ფორმით დედაზე გინება ფართოდაა გავრცელებული მთიანი აჭარის ყოფაში. “ზღაპრის მიხედვით დედაზე გინება სწორედ ოჯახის სიწმინდის შელახვამ განაპირობა. რა თქმა უნდა აღნიშნული ინსტიტუტის გენეზისი მიზეზთა კომპლექსითაა განაპირობებული, მაგრამ იგი საინტერესოა ხალხური ახსნის და შეურაცხმყოფელი პიროვნების მიმართ დამოკიდებულების გამოხატვის თვალსაზრისით.

ადრესატის აგრესიას იწვევს აგრეთვე თურქული ენით გამოხატული გინების ფორმულები:

შენი გეჩმიში - (წარსული)

შენი გეჩმიში-გეჩაჯალი (წარსული)

შენი მესეები - მომავალი („სები“// პატარა ბავშვი) და ა. შ.

ევროპის ქვეყნებში გინება შედარებით რბილი ფორმებით გამოითქმება. მაგალითად: იტალიაში ყველაზე დიდ უარყოფით ემოციას იწვევს გინება – “კორონატო” (“შენ რქიანო” ეტყვიან მოღალატე ცოლის ქმარს), ფრანგებში შეურაცხმყოფელ გინებად ითვლება გამოთქმა “კრაშე”, ხოლო გერმანელებში “შვან” (ღორი) და ა.შ.

უცენზურო, შეურაცხმყოფელი ლექსიკა აქტიურად გამოიყენება საარჩევნო კამპანიის დროს. მას გამართლებულად მიიჩნევენ პიარის სპეციალისტთა ერთი ნაწილი არა მარტო საქართველოში, არამედ დასავლურ სამყაროშიც კი. არანორმატიული ლექსიკა საჯარო სივრცეში, ტელეეთერთიდან ისმის. გინება გვხვდება ფილმში, პოლიტიკურ შოუში, ამა თუ იმ პირის სატელეფონო ჩანაწერში. პოლიტიკურ ელიტაში ვულგარიზმისა და უცენზურო სიტყვების გამოყენების რამდენიმე მიზეზი არსებობს. ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს არანორმატიული ლექსიკის პიარ – კამპანიადა გამოყენების ნაწილად ქცევის სურვილი. პიარ – აგენტები პოლიტიკურ ლიდერებს სპეციალურად ურჩევენ ვულგარული ფრაზეოლოგიის გამოყენებას, რათა მოსახლეობის დაბალმა ფენებმა, რომელთა შორისაც ამ ლექსიკის გამოყენება საკმაოდ ხშირია, საკუთარ ნაწილად მიიჩნიონ პოლიტიკოსი, გაუჩნდეთ მასთან სოციალური სიახლოვის შეგრძნება და შესაბამისად, მის მიმართ სიმპათიით განიმსჭვალონ.

უხეში და არადიპლომატიური ფრაზეოლოგიით გამოირჩეოდა აშშ-ს პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში (უმცროსი)**. 2006 წ. მიკროფონი შემთხვევით ჩართული დარჩა, როცა ტონი ბლეერს ესაუბრებოდა და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის შესახებ თქვა: „**ეს ს....ა უნდა შეწყვიტონ**”.

უცენზურო, არანორმატიული ლექსიკა დამახასიათებელი იყო **ნიკიტა ხრუშჩოვისთვის**. მისი უხამსი გამოხტომები ნეგატიური იმიჯის მქონე საბჭოთა კავშირის დისკრედიტირებას კიდევ უფრო მეტად ახდენდა. 1960 წ. გაეროში მაგიდაზე ფეხსაცმლის დარტყმა იყო ერთ-ერთი სკანდალური შემთხვევა. ასევე, 1956 წელს, უნგრეთის აჯანყების დროს დაიბარა დასავლელი დიპლომატები და დაემუქრა: „**ჩვენ დაგმარხავთ**”.

განსაკუთრებული უხამსობით გამოირჩეოდა ხრუშჩოვის დამოკიდებულება რუსი მოქანდაკის **ერნსტ ნეიზვესტის** მიმართ. მან მოქანდაკე „**სახედრად**” მოიხსენია, ხოლო 1962 წელს, მანუქის გამოფენაზე **ერნსტ ნეიზვესტის** ერთ-ერთი მოდერნისტული ნამუშევარის შესახებ აგრესიულად განაცხადა: „**А это что за хрень, вы что, пидарасы. Народ за нос водите?**»

მოსახლეობის გარკვეულ ფენებში ვულგარული სიტყვების გამოყენებით მოიპოვა პოპულარობა რუსეთის პრეზიდენტმა **ბორის ელცინმა**. იგი ცნობილია სხვადასხვა უცენზურო გამოთქმებით, განსაკუთრებით ალკოჰოლური თრობისას. ერთ-ერთ ცნობილ

გამოსვლაში ელცინმა კომუნისტები „ნაგვებად“ მოიხსენია. იგი ხშირად იყენებდა რუსულ „მატს“ - გინებას საჯარო და პირად საუბრებში.

ვულგარული გამონათქვამები უცხო არ იყო მიხეილ სააკაშვილისათვისაც, თუმცა ქართულ მოსახლეობაში (ცალკეული გამონაკლისების გარდა) იგი მოწონებას არ იმსახურებდა, რადგანაც ვულგარიზმი და ჟარგონული გამონათქვამები საქართველოში მხედრიონთან და მის თავკაცთან ასოცირდებოდა და ნეგატიურ განწყობას ქმნიდა. ხრუშჩოვის ნიერ ერსტნ ნეიზვესტნის „სახედრად“ მოხსენიებასა და სააკაშვილის მიერ პოლიტიკური ოპონენტების „ერთი ადგილის მლოკავებად“ მოხსენიებას, ასევე კულტურის მოღვაწეთა დიდი ნაწილის „ჩარეცხვას“ შორის არსებით განსხვავება არ არსებობს. აბსოლუტურად მიუღებელი იყო სააკაშვილის მიერ პუტინისათვის სასქესო ორგანოს გაგზავნის ინიციატივის გახმოვანება, რაც დაუმონტაჟებლად ფართოდ გავრცელდა ქართული ტელეარხების საშუალებით. ეს იყო ვულგარიზმისა და უცენზურობის პიკი, რასაც გაკიცხვა კი არ მოყოლია, პირიქით. იგი შეფასდა პრეზიდენტის წარმატებულ ქმედებად. თუმცა თავად სააკაშვილს ჰქონდა გამართლების მცდელობა, მაგრამ ყოველივე ეს სიტყვის თავისუფლების სამოსელში გაახვია: "ვადიარებ, რომ გამონათქვამები ხანდახან ზედმეტები მომდის, მერე ვნანობ, რომ სჯობს არ მეთქვა, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ჯერ ერთი, ყველას, მათ შორის მეც, გვაქვს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია პატივი ვცეთ ყველას აზრს" (<https://www.ambebi.ge/article/41787-mixeil-saakashvili-vagiareb-rom-gamonatkvamebi-xandaxan-zedmetebi-momdis-mere-vnanob-rom-sjobs-ar-metkva/>).

პოლიტიკოსის მიერ უცენზურო სიტყვების გამოყენება დაუშვებლად მიგვაჩნია. პოლიტიკოსი, მით უმეტეს პირველი პირი ქვეყნის სახეა როგორც შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მისი ქცევა სამაგალითო და მისაბამი უნდა იყოს ნებისმიერი მოქალაქისათვის. დასავლურ სამყაროში პირველი პირის შეუსაბამო ქცევას თუ ვულგარული ლექსიკის გამოყენებას შესაძლოა დიდი სკანდალიც კი მოყვეს. საილუსტრაციოს ჯორჯ ბუშის დასახელებაც კმარა, რომელსაც საჯაროდ მოუწია შეცდომის აღიარება და ბოდიშის მოხდა ერთ-ერთი ჟურნალისტის არასათანადოდ მოხსენიების გამო.

პოლიტიკოსთა მხრიდან უცენზურო ლექსიკის გამოყენება შესაძლებელია ფსიქოლოგიური კუთხითაც იქნას განხილული. ზოგჯერ არანორმატიული ლექსიკა შესაძლოა კულტურულმა პიროვნებამაც გამოიყენოს, მაგრამ ეს უპირატესად რეაქცია უნდა იყოს მტკივნეულ იმპულსზე, როცა ადამიანი დროის მცირე მონაკვეთში ვერ ასწრებს რეაქციის გაკონტროლებას.

დღესდღეობით საქართველოში - მსოფლიოს სხვა, არაერთი ქვეყნისაგან განსხვავებით (სადაც იქმნება საზოგადოებრივი აზრი, იმართება დისკუსიები და სასამართლო განხილვები, გამოიყენება ჯარიმა და სხვა ფორმები) არ არსებობს ტელევიზორში ბილწსიტყვაობის შემზღუდავი მექანიზმი. ამის შედეგად ჩამოყალიბდა აზრი, რომ უწმაწურობა დასაშვებია და ამისთვის არავინ ისჯება, მით უფრო, ტელევიზიები, სოციალური ქსელები. საზოგადოებაში ამ თვალსაზრისით ეთიკურმა სტანდარტმა დაბლა დაიწია. ბილწსიტყვაობას და ტელეშოუში კონფლიქტის გამწვავებას ხელს უწყობენ თავად გადაცემის წამყვანები. ზოგიერთი ტელევიზია დაინტერესებულია კონფლიქტის გამწვავებით იმისთვის, რომ გადაცემა უფრო ყურებადი გახადოს. მიაჩნიათ, რომ თუ შოუ ჩხუბში გადაიზრდება, ყურადღებას უფრო მიიქცევს. მოკლედ, იაფფასიან სენსაციებზეა აქცენტი გაკეთებული. შესაბამისად, გინება უზნეობად აღარ ითვლება. ამიტომ **უწმაწურობს ის, ვისაც უნდა, ყურადღება მიიქციოს**. კანონი ბილწსიტყვაობის რეგულაციის შესახებ პარლამენტმა 2009 წელს გააუქმა, მაშინ, როცა ცივილიზებული მსოფლიო ამ ყველაფერს სერიოზულად ებრძვის (<https://www.ambebi.ge/article/180017-ratom-viginebith-moadadqceuli-biltssityvaoba-da-thu-mavne-chveva-romelsac-ver-gadavechieth/>).

გინება, ისევე როგორც წყევლა-კრულვა არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელშიც შესაძლოა აისახოს ისტორიული ბედუკუდმართობა, თანამედროვეობის პრობლემები, პოლიტიკური პროცესებისადმი ამა თუ იმ პარტიისადმი დამოკიდებულება. ბოლო პერიოდში არც თუ ისე იშვიათია გინების შემედი ფორმულები:

შენი ნაცი დედა;

შენი ქოცი დედა;

შე ნაციშვილო შენა;

შე ქოციშვილო შენა;

შე რუსო შენა;

შე პუტინო შენა;

ნაცი (ქოცი)შვილი ვიყო თუ გატყუებდე და ა. შ.

არანორამტიული ლექსიკის გამოყენება აქტუალური პრობლემაა საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის. ამ პრობლემაზე გამკვლავება დიდი გამოწვევაა, რადგან სკოლის მოსწავლეებმა შესანიშნავად იციან მათი უფლებები, მაგრამ არ იციან მოვალეობები. უცნაურო ლექსიკის გამოყენებით მოსწავლეები ხაზს უსვამენ თავიანთ დამოუკიდებლობას და გამოხატავენ პროტესტს გარემო სამყაროსადმი.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული საველე მონაცემებისა და ზოგადი ლიტერატურის შესწავლით ნათლად ჩანს გინების ნიმუშები, რომლებიც სათავეს უნდა იღებდეს ანიმისტური რწმენა-წარმოდგენებიდან და საჭიროებს შემდგომ კვლევას.

მართლმადიდებელთათვის წყევლა-გინება მიუღებელი ელემენტია (მარცხენა ყბაში რომ გაგარტყან, მარჯვენა მიუშვირო), მაგრამ ხალხმა დღემდე შემოინახა დადებითი თუ უარყოფითი ემოციებისაგან განმუხტვის, „ჯავრის ამოყრის“, „გულის მოფხანის“ მაგიური ფორმულები, თუმცა ყოფაში დამკვიდრებული ელემენტები ვეღარ მოიშალა. ამიტომაც დამშვიდებულ-დაწყნარებული დაამატებდა: „ქვას ესმოდეო“.

წყევლა-კრულვისა და გინების სხვადასხვა ფორმები მყარადაა გამჯდარი ხალხის ფსიქოლოგიაში და წარმოადგენს პიროვნებისა და მოვლენის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას. წყევლა-გინების ფორმულებს შელოცვათა მსგავსად აქვს პროფილაქტიკური მაგიის დანიშნულება და წარმოადგენს ადამიანის თვითდამკვიდრების ხანიერი გზის ერთერთ აუცილებელ ატრიბუტს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ორბელიანი, სულხან-საბა. (1964). *ლექსიკონი ქართული*, I. თბილისი.

პირი ხისკენ. (2006). *პირი ხისკენ მიქნია... ქართული ხალხური წყევლა*. კრებული შეადგინა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო თინა შიოშვილმა. თბილისი.

უმიკაშვილი, პ. (1964). *ხალხური სიტყვიერება*, I. თბილისი.

უნივერსალური.... (2006). *უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი*. შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. თბილისი.

საკაშვილი, მ. - „ვაღიარებ, რომ გამონათქვამები ხანდახან ზედმეტები მომდის, მერე ვნანობ, რომ სჯობს არ მეთქვა. <https://www.ambebi.ge/article/41787-mixeil-saakashvili-vagiareb-rom-gamonatkvamebi-xandaxan-zedmetebi-momdis-mere-vnanob-rom-sjobs-ar-metkva/>.

ფურცელაძე, დ. (1964). *სამართალი ბატონიშვილის დავითისა*. თბილისი.

ფუტყარაძე, თ. (2005). *საველე ექსპედიციის დღიური. ხიხაძირი*. (2005 წლის ივლისი).

- ფუტკატრაძე, თ. (2006). *საველე ექსპედიციის დღიური. ხულო, შუახევი, ქობულეთი, იმერხევი*. (2006 წ. ივლისი).
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1990). ერთტომეული, ნაკვეთი მეორე. თბილისი.
- იაკობ ხუცესი. „შუშანიკის წამება“; იოანე საბანისძე. „აბო თბილელის წამება“. ტექსტები თანამედროვე ქართულ ენაზე (მოსწავლეთა და აბიტურიენტთა დასახმარებლად).
- Chauran, Alexandra. (2013). *Have You Been Hexed? Recognizing and Breaking Curses*. Llewellyn Worldwide.
- <https://www.ambebi.ge/article/180017-ratom-viginebith-modadqceuli-biltssityvaoba-da-thu-mavne-chveva-romelsac-ver-gadavechieth/>).

REFERENCES

- orbeliani, sulkhan-saba. (1964). *leksik'oni kartuli, I*. tbilisi.
- p'iri khisk'en. (2006). *p'iri khisk'en miknia... kartuli khalkhuri ts'qevla*. k'rebuli sheadgina, ts'inatkma da shenishvnebi daurto tina shioshvilma. tbilisi.
- umik'ashvili, p'. (1964). *khalkhuri sit'qviereba, I*. tbilisi.
- universaluri.... (2006). *universaluri entsik'lop'ediuri leksik'oni*. sheadgina aleksandre elerdashvilma. tbilisi.
- saak'ashvili, m. - „*vaghiareb, rom gamonatkvamebi khandakhan zedmet'ebi momdis, mere vnanob, rom sjobs ar metkva*“. <https://www.ambebi.ge/article/41787-mixeil-saakashvili-vagiareb-rom-gamonatkvamebi-xandaxan-zedmetebi-momdis-mere-vnanob-rom-sjobs-ar-metkva/>.
- purtseladze, d. (1964). *samtali bat'onishvilis davitisa*. tbilisi.
- put'k'aradze, t. (2005). *savele eksp'editsiis dghiuri. khikhadziri*. (2005 ts'lis ivlisi).
- put'k'at'radze, t. (2006). *savele eksp'editsiis dghiuri. khulo, shuakhevi, kobuleti, imerkhevi*. (2006 ts'. ivlisi).
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni*. (1990). ertt'omeuli, nak'veti meore. tbilisi.
- iak'ob khutsesi*. „*shushanik'is ts'ameba*“; *ioane sabanisdze*. „*abo tbilelis ts'ameba*“. t'ekst'ebi tanamedrove kartul enaze (mosts'avleta da abit'urient'ta dasakhmareblad).
- Chauran, Alexandra. (2013). *Have You Been Hexed? Recognizing and Breaking Curses*. Llewellyn Worldwide.
- <https://www.ambebi.ge/article/180017-ratom-viginebith-modadqceuli-biltssityvaoba-da-thu-mavne-chveva-romelsac-ver-gadavechieth/>).